ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გოეთეს ინსტიტუტისა და ევროკავშირის პროექტის ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველო" დაფინანსებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განხორციელდება პროექტი ,,მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა", რომელიც გულისხმობს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი იმ შენობა-ნაგებობების ფიზიკური რუკების მომზადებას, რომლებიც განკუთვნილია ან/და შესაძლოა სამომავლოდ განისაზღვროს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიებისათვის.

გოეთეს ინსტიტუტი თანახმაა გამოყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში პროექტის განსახორციელებლად გრანტი 5000 ევროს ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, გოეთეს ინსტიტუტისგან მიიღოს 5000 (ხუთი ათასი) ევროს ოდენობის გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი